საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

სატენდერო პირობებში განსახორციელებელი ცვლილებები

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

04/05/2018

პრეზენტაციის მიზანი

გააცნოს პოტენციურ მიმწოდებლებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერების სატენდერო პირობებში განსახორციელებელი ცვლილებები

ცვლილებების საჭიროება

პრეტენდენტების მიმართ პროპორციული მოთხოვნების განსაზღვრა შესყიდვის ობიექტის თავისებურებათა გათვალისწინებით

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები, ასევე, მიდგომები, რომლებიც ეყრდნობა დავების განხილვის საბჭოს პრაქტიკით გამოვლენილ სხვადასხვა საკითხებს

ელექტრონული ტენდერების სტატისტიკა და კატეგორიებად დაყოფა

2017 წლის განმავლობაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, სხვადასხვა კატეგორიის სამუშაოებისა და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, სულ გამოცხადებული და დაკონტრაქტებული იყო - 106 ელექტრონული ტენდერი.

გამოცხადებული ტენდერების შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სამი კატეგორია:



ცვლილებების მიზანი

მიმწოდებლების მიმართ წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნების დახვეწა

↓

სატენდერო პროცედურის ეფექტური წარმართვა

↓

ადეკვატური შესაძლებლობების და გამოცდილების მქონე მიმწოდებლების შერჩევა

↓

ხელშეკრულების ეფექტური მართვა და პროექტის წარმატებული განხორციელება

რა მოთხოვნებს ეხება ცვლილებები

- საანგარიშო პერიოდი
- ზოგადი ანალოგიური გამოცდილების გაანგარიშება საანგარიშო პერიოდში
- ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ანალოგიური გამოცდილება საანგარიშო პერიოდში
- სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი

საანგარიშო პერიოდი

ძველი მოთხოვნა

- პრეტენდენტს ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება უნდა ჰქონოდა საანგარიშო პერიოდში:
- **01.01.2013-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე.**

ახალი მოთხოვნა

- ამჯერად, სტანდარტული მიდგომით, ყველა კატეგორიის სამუშაოების შესყიდვის ტენდერებში პრეტენდენტს ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება უნდა გააჩნდეს საანგარიშო პერიოდში:
- **01.01.2015-დან ტენდერის გამოცხადების დღემდე.**

მოთხოვნის შეცვლის მიზანი

მოთხოვნის მიზანია, პროცედურის ჩატარების შედეგად შეირჩეს კვალიფიციური მიმწოდებელი, რომელიც, მინიმუმ ბოლო სამი დასრულებული წლის განმავლობაში აქტიურად და სტაბილურად ოპერირებს შესაბამის ბაზარზე, ხოლო პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების, გამოცდილებისა და სხვა კრიტერიუმების მიმართ, დაწესდება განსხვავებული მოთხოვნები ტენდერების შერჩეული კატეგორიების მიხედვით.

ყურადღება!

გარკვეულ შემთხვევებში, განსაკუთრებული სირთულის და მნიშვნელობის სამუშაოების შესყიდვის შემთხვევაში, ობიექტური გარმოებების, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის და თავისებურებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია დადგინდეს ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების განსხვავებული საანგარიშო პერიოდი!

ანალოგიური გამოცდილება ერთი ხელშეკრულების ფარგლებში

ძველი მოთხოვნა

- არ იყო სავალდებულო, რომ ხელშეკრულება ყოფილიყო დასრულებული და ითვლებოდა საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივი შესრულებები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა.
- არ იყო სავალდებულო, რომ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 90% ყოფილიყო გადახდილი.

ახალი მოთხოვნა

- საანგარიშო პერიოდში პრეტენდენტს ერთი **შესრულებული ხელშეკრულების** ფარგლებში **დასრულებული უნდა ჰქონდეს** ანალოგიური სამუშაოები, ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა.
- იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთს წარმოადგენს კერძო კომპანია, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული თანხის 90% უნდა იყოს დამკვეთის მიერ გადახდილი, რაც პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს შეაბამისი საგადახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენით.

შენიშვნა

- **მოთხოვნა ახალი სახით და მიდგომით, თანაბრად დაწესდება ყველა ტენდერში**
- **მოთხოვნის მიზანია დაახლოებით მსგავსი მასშტაბის და სირთულის პროექტის წარმატებით მართვისა და შესრულების გამოცდილების შეფასება.**

პრეტენდენტის ზოგადი შესაძლებლობების შეფასება

ძველი მოთხოვნა:

პრეტენდენტის (ქვეკონტრაქტორთან ერთად ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანალოგიური გამოცდილების ზღვრული მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, უნდა იყოს წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების ნახევარი (50%) ან მეტი, აღნიშნული ფორმულით:

A საშ = (A1 + A2 + A3 + A4 + A5) / N x 12

სადაც:

A1 – 01.01.2013-დან 01.01.2014-მდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)

A2 – 01.01.2014-დან 01.01.2015-მდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)

A3 – 01.01.2015-დან 01.01.2016-მდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)

A4 – 01.01.2016-დან 01.01.2017-მდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)

A5 – 01.01.2017-დან ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში ანალოგიური ტიპის სამუშაოების ჯამური გამოცდილება (ლარი)

N – თვეების რაოდენობა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის რეგისტრაციის თვიდან - ტენდერის გამოცხადების თვის 1-ლ რიცხვამდე პერიოდში. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი დაარსებულია 2013 წლამდე, მაშინ თვეების ათვლა დაიწყება 01.01.2013-დან

ახალი მოთხოვნა:

უშუალოდ პრეტენდენტის ანალოგიური გამოცდილების ზღვრული მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, პროექტების მასშტაბების გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით დადგინდება აღნიშნული ფორმულით:

X = (E*12 / D) * m

სადაც:

E - ტენდერის სავარაუდო ღირებულება,

D - სამუშაოების შესრულების ვადა თვეებში,

m - მულტიპლიკატორი (მნიშვნელობა განისაზღვრება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების მიხედვით):

- 500 000 ლარის ჩათვლით ღირებულების ტენდერებში - 0,5

- 500 000 ლარზე მეტი და 5 000 000 ლარზე ნაკლები ღირებულების ტენდერებში - 0,6

- 5 000 000 ლარის და მეტი ღირებულების ტენდერებში - 0,75

ყურადღება!

- გამოცდილების გაანგარიშებისას არ არის სავალდებულო, რომ ხელშეკრულებები იყოს დაწყებული ან დასრულებული საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელობა ენიჭება საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოებს!

- არ მოხდება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების დაჯამება პრეტენდენტის გამოცდილებასთან!

ანალოგიური გამოცდილების გაანგარიშების მაგალითი

ძველი ფორმულით:

A საშ = (A1 + A2 + A3 + A4 + A5) / N x 12

. ტენდერის სავარაუდო ღირებულება - 1 000 000.00 ლარი
. თვეების რაოდენობა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის რეგისტრაციის თვიდან - 36 თვე.
. ანალოგიური ტიპის სამუშაოების მინიმალური გამოცდილება ტენდერის სავარაუდო ღირებულების **50%** - არანაკლებ 500 000.00 ლარი.

A საშ = 1 500 000 / 36 * 12 = 500 000 ლარი

დასკვნა:
- პრეტენდენტის გამოცდილება არ არის დამოკიდებული სამუშაოს შესრულების ვადაზე და შეადგენს 1 500 000 ლარს;
- რაც უფრო მეტი თვეა გასული პრეტენდენტის რეგისტრაციის თარიღიდან, იმატებს საჭირო გამოცდილების მაჩვენებელი.

ახალი ფორმულით:

X = (E*12 / D) * m

. ტენდერის სავარაუდო ღირებულება - 1 000 000.00 ლარი
. საანგარიშო პერიოდი: 36 თვე
. სამუშაოების შესრულების ვადა თვეებში - 3 თვე, 6 თვე, 12 თვე
. მულტიპლიკატორი - 0,6

დასკვნა:
პრეტენდენტის გამოცდილების მაჩვენებელი დამოკიდებულია სამუშაოს შესრულების ვადაზე და შეადგენს:

3 თვისთვის **X= (1 000 000 *12/ 3)*0.6=2 400 000**

6 თვისთვის **X= (1 000 000 *12/ 6)*0.6=**1 200 000

12 თვისთვის **X= (1 000 000 *12/12)*0.6=600 000**

სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი

ძველი მოთხოვნა

მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად, სამუშაოების შესრულების თანხობრივი, კვარტალური, გეგმა-გრაფიკის ზედამხედველთან შეთანხმება და შემსყიდველთან წარდგენა. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი დაერთვება ხელშეკრულებას დანართის გაფორმების გზით. შემსყიდველისთვის წარდგენილი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოს შესრულების ვადას.

ყურადღება!

- გრაფიკი იყო მხოლოდ თანხობრივი, კვარტალური

ახალი მოთხოვნა

სამუშაოების შესრულების საორიენტაციო კალენდარული გეგმა-გრაფიკი იქნება ხაზოვანი, თვეების მიხედვით, ფორმა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს წარუდგინოს ზედამხედველთან შეთანხმებული დაზუსტებული გეგმა-გრაფიკი, რომელიც იქნება, როგორც ხაზოვანი, ასევე თანხობრივი, თვეების ჭრილში. შემსყიდველისთვის წარდგენილი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოს შესრულების ვადას.

ყურადღება!

- გრაფიკი იქნება ხაზოვანიც და თანხობრივიც, თვეების მიხედვით.

<u>ცვლილების განხორციელების აუცილებლობა:</u>
ხელშეკრულების სრულფასოვანი კონტროლი და მართვა.

სატენდერო პირობების შესახებ განახლებული მოთხოვნები

№	დასახელება	500 000 ლარამდე ღირებულების ტენდერები	500 000-დან 5 000 000 ლარამდე ღირებულების ტენდერები	5 000 000 ლარი და მეტი ღირებულების ტენდერები
1	საანგარიშო პერიოდი	01.01.2015–დან ტენდერის გამოცხადების თარიღამდე		
2	ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილება	2.1. პრეტენდენტს საანგარიშო პერიოდში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ქვემოთ მოყვანილი ფორმულით დაანგარიშებული ოდენობის ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები:		
		$X = \frac{E \cdot 12}{D} \cdot m$		
		სადაც: E - წინამდებარე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება *D - მიწოდების ვადა,* *m - მულტიპლიკატორი (0,5)*	*სადაც: E - წინამდებარე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება* *D - მიწოდების ვადა,* *m - მულტიპლიკატორი (0,6)*	*სადაც: E - წინამდებარე შესყიდვის სავარაუდო ღირებულება* *D - მიწოდების ვადა,* *m - მულტიპლიკატორი (0,75)*
		შენიშვნა: გამოცდილების გაანგარიშებისას არ არის სავალდებულო, რომ ხელშეკრულებები იყოს დაწყებული ან დასრულებული საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელობა ენიჭება საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოებს. - არ მოხდება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების დაჯამება პრეტენდენტის გამოცდილებასთან		
		2.2. საანგარიშო პერიოდში პრეტენდენტს ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სამუშაოები ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთს წარმოადგენს კერძო კომპანია, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული თანხის 90% უნდა იყოს დამკვეთის მიერ გადახდილი, რაც პრეტენდენტმა უნდა დაადასტუროს შეაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენით		
3	ინფორმაცია სამუშაოს შესრულების ვადებთან დაკავშირებით (გეგმა-გრაფიკი)	3.1. სამუშაოების შესრულების საორიენტაციო კალენდარული გეგმა-გრაფიკი იქნება ხაზოვანი, თვეების მიხედვით, ფორმა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით. 3.2.მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს წარუდგინოს ზედამხედველთან შეთანხმებული დაზუსტებული გეგმა-გრაფიკი, რომელიც იქნება, როგორც ხაზოვანი, ასევე თანხობრივი, თვეების ჭრილში. შემსყიდველისთვის წარდგენილი გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული ვადები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოს შესრულების ვადას		

გმადლობთ ყურადღებისთვის!